Caritas
Czech Republic

## ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასმა (CCR) საქართველოში საქმიანობა 2008 წელს დაიწყო – ეს იყო რეაგირება კონფლიქტით გამოწვეული საჭიროებების მოსაგვარებლად და იძულებით გადაადგილებულ პირთა ნაკადების დასახმარებლად. ქვეყანაში მისიის დაარსებამდე ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის პროექტები ძირითადად ადგილობრივი პარტნიორი ორგანიზაციების მეშვეობით ხორციელდებოდა. 2014 წელს კი, წლების მანძილზე მიღებული გამოცდილების შედეგად, ბუნებრივი ნაბიჯი გადაიდგა და ქვეყანაში გაიხსნა წარმომადგენლობა, რომელიც საქართველოს მოსახლეობას ხარისხიან, დროულ და საჭიროებაზე დაფუძნებულ დახმარებას უწევს. ამ დროიდან ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი საქართველოში მიმართულია არა მხოლოდ ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, არამედ სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარებისა და ბუნებრივი რესურსების მართვაზე.

## ჯანდაცვა და სოციალური სფერო

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასისთვის ყოველთვის პრიორიტეტი იყო მარგინალურ და მოწყვლად ჯგუფებთან მუშაობა. ამისათვის ორგანიზაცია ცდილობს გააუმჯობესოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის დონე საქართველოში, მუშაობს სახელმწიფო ინსტიტუტებთან, მუნიციპალიტეტებთან, უნივერსიტეტებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სერვისის მიმწოდებლებთან.

მას შემდეგ, რაც საქართველოში საქმიანობა დაიწყო, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასმა 15-მდე პროექტი განახორციელა, ონკოლოგიის, აუტიზმის სპექტრის აშლილობის, ხანგრძლივი და პალიატიური ზრუნვისა და პირველადი ჯანდაცვის სფეროებში. მისი მუშაობის შედეგად გაიხსნა ზუგდიდის სკრინინგცენტრი, გაუმჯობესდა სასწრაფო დახმარების მომსახურება თუშეთში, გაუმჯობესდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის შესაძლებლობები.

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი მჭიდროდ თანამშრომლობს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან, რომელიც დახმარებას უწევს ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასს ჯანდაცვისა და სოციალური სექტორის ფორმირებაში, შესაბამისი პოლიტიკისა და სტანდარტების შემუშავებით.

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის ამჟამინდელი პროექტები მიზნად ისახავს პირველადი ჯანდაცვის სისტემის ხარისხის გაუმჯობესებას, დასავლეთ საქართველოში კიბოს სკრინინგის ეროვნული პროგრამების ხელმისაწვდომობის გაზრდას, ბავშვთა ხანგრძლივი მოვლისა და პალიატიური მზრუნველობის სერვისების განვითარებას და აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებისთვის ხარისხიანი სერვისების მიწოდებას.

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი კვლავაც განაგრძობს საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური სისტემის გაუმჯობესებას სამართლებრივი ჩარჩოების შემუშავების, სტანდარტების შექმნის ახალი სასწავლო სქემებისა და ინსტრუმენტების გაუმჯობესების გზით.

## გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოსახლეობის 42.8% სოფლად ცხოვრობს, სოფლის მდგრადი განვითარება და ბუნებრივი რესურსების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის გრძელვადიან სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლაში.

ამ მიმართულებით ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასის მიზანია ხელი შეუწყოს შემოსავლის მისაღები ალტერნატიული საქმიანობის განვითარებას და ბუნებრივი რესურსებისა და ნარჩენების ეფექტურად მართვის შესაძლებლობას.

საქართველოში საქმიანობის დაწყებიდან დღემდე ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასმა ამ მიმართულებებით 7-ზე მეტი პროექტი განახორციელა. ეს პროექტები ძირითადად მიმართული იყო მაღალმთიან რეგიონში მცხოვრებ მოსახლეობაზე.

კერძოდ, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი დაეხმარა ტრადიციული მეურნეობის განვითარებას, კულტურების მოშენებას, მატყლის დამუშავებას, ტურიზმის განვითარებას თუშეთში, მცირე ფერმერთა კოოპერატივების შექმნას მაღალმთიან აჭარაში და ნარჩენების მართვის გეგმის შემუშავებას ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიებისთვის. გარდა ამისა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი ხელს უწყობს ზემო აჭარაში ხულოს მუნიციპალიტეტის სოფლის განვითარებას ადგილობრივი ფერმერების, საოჯახო სასტუმროების ოპერატორებისა და კვების მწარმოებლების მცირე საგრანტო კონკურსების, ტრენინგებისა და ტექნიკური დახმარების გზით.

განვითარებაში წვლილის შესატანად, ჩეხეთის განვითარების სააგენტოს, UNDP-ისა და ევროკავშირის ENPARD-ის პროგრამის დაფინანსებით, ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი მუშაობს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მუნიციპალიტეტებთან, ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ინდივიდუალურ ბენეფიციარებთან.

ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი მომავალშიც განაგრძობს სოფლის მდგრადი განვითარების, ბუნებრივი რესურსებისა და ნარჩენების მართვის მხარდაჭერას ცოდნის, ტექნოლოგიებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებით, სტრატეგიული დოკუმენტებისა და ტრენინგების დახმარებით.


Caritas Czech Republic

**ჩეხეთის რესპუბლიკის კარიტასი**

საქართველო, თბილისი, კარტოზიას 8, მე-4 კორპუსი, I სადარბაზო, მე-9 სართული, ბინა 24
(+995) 032 222 02 14
ccrg@caritas.cz
georgia.charita.cz